ხელშეკრულება №ჟ-3/84

DAISY e. XPERT საკონტროლო სალარო აპარატის შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის, საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 21/ნოემბერი/ 2017 წ.

ერთი მხრივ, შპს **"ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** ს/კ: 406049823 (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმომოდგენილი იურისტის **გიორგი წაქაძის** სახით და მეორე მხრივ, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა" ს/კ 211328703 (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ლია ძიძიგურის** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, გაუწიოს შემსყიდველის საკუთრებაში არსებულ ამ მუხლის 1.2. პუნქტში აღნიშნულ "DAISY e. XPERT" საკონტროლო სალარო აპარატ(ებ)ს, (შემდგომში "სსა") სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურება, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილება. ხოლო შემსყიდველი თავის მხრივ იღებს ვალდებულებას ამ მუხლში აღნიშნული მომსახურების მიღების მიზნით მიმწოდებელს გადაუხადოს ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი; შესყიდვის ობიექტის კოდი: CPV 64212500 GPRS მომსახურება.

1.2. საკონტროლო სალარო აპარატის (ების) მომსახურების გაწევის ვადა:

N	ფისკალური მეხსიერების ნომერი	სსა-ს ნომერი	მომსახურების გაწევის ვადა სსა-ზე
1.	----------	DY00025264	12/12/2017 – 12/12/2018
2.		DY00025300	12/12/2017 – 12/12/2018
3.		DY00025260	12/12/2017 – 12/12/2018

2.მომსახურების გაწევის წესი და პირობები

2.1. სსა-ს საგარანტიო პერიოდი აითვლება მისი პირველადი რეგისტრაციის მომენტიდან და სრულდება 3 კალენდარული წლის გასვლისთანავე. საგარანტიო მომსახურება გულისხმობს მიმწოდებლის მხრიდან სსა-ის ნებისმიერი ტექნიკური გაუმართაობის მიზეზების აღმოფხვრას იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი მიმწოდებელს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თითოეულ საანგარიშო თვეზე გადაუხდის ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ სააბონენტო გადასახადს; საგარანტიო მომსახურების ღირებულება გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებაში.

2.2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის შესაბამის სერვისცენტრში, შესაბამისი კვალიფიკაციის ტექნიკური პერსონალის მიერ. აღნიშნული მომსახურების მისაღებად შემსყიდველი ვალდებულია დაზიანებული სსა მიაწოდოს მიმწოდებელს შესაბამის სერვის ცენტრში; რომელიც თავის მხრივ ვალდებულია განახორციელოს ტექნიკური და საგარანტიო მომსახურება.

2.3. იმ შემთხვევაში, თუ სსა-ის დაზიანება გამოწვეულია შემსყიდველის მხრიდან მომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული წესების არასწორად გამოყენების, ძაბვის ცვალებადობის, სსა-ს შიდა მოწყობილობაში შესვლის მცდელობის, მისი მექანიკური დაზიანების, ფორს მაჟორული შემთხვევის შედეგად, შემსყიდველი კარგავს მიმწოდებლისაგან საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების მიღების მოთხოვნის უფლებამოსილებას;

2.4. ამ მუხლის 2.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია განაახლოს სსა-ს საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება, მხოლოდ მისი აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ, რომლის ღირებულებაც განისაზღვრება ცალკე ხელშეკრულებით.

3. მიმწოდებლის უფლებამოსილება

3.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით, ნაწილობრივ ან/და მთლიანად შეუჩეროს ან/და შეუწყვიტოს შემსყიდველს სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურების, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილების მომსახურების გაწევა, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის არ განხორციელდება ხელშეკრულების მე-4-ე მუხლით გათვალისწინებული სააბონენტო გადასახადის დროულად და სრულად გადახდა.

4. სააბონენტო გადასახადი და ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი მომსახურების სააბონენტო გადასახადი განისაზღვრება წლიურად 60 (სამოცი) ლარის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით ერთ სსა-ზე;

4.1.1 ხელშეკრულების ჯამური თანხა შეადგენს 180 (ასოთხმოცი) ლარს;

4.2. შემსყიდველის მიერ სააბონენტო გადასახადის გადახდა ხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე 12 (თორმეტი) თვის გადასახადის წინასწარ ჩარიცხვის გზით;

4.3. იმ შემთხვევაში თუ სსა-ს პირველადი რეგისტრაცია მიმწოდებლის მიერ მოხდება თვის პირველი ნაწილის განმავლობაში (თვის 1 რიცხვიდან 15 რიცხვის ჩათვლით) ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს დაერიცხება მთლიანი სააბონენტო გადასახადი 5 ლარის ოდენობით ერთ სსა-ზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სსა-ს პირველადი რეგისტრაცია მოხდება თვის მეორე ნაწილის განმავლობაში (თვის 16 რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით) ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს დაერიცხება სააბონენტო გადასახადის ნახევარი 2,5 ლარის ოდენობით ერთ სსა-ზე.

5.ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი გაგრძელების და შეწყვეტის პირობები

5.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2.ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

5.2.1. მომწოდებლის მიერ, თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.2.2.შემსყიდველის მიერ, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.2.3.მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

5.3.ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 14 იანვრამდე.

6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1.წინამდებარე ხელშეკრულებით დაურეგულირებელი საკითხები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

7. დასკვნითი დებულებანი

7.1.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

7.2.წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ან/და ნაწილის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სრულ ბათილობას;

7.3.ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

8.მხარეები და მათი რეკვიზიტები:

8.1. მიმწოდებელი	8.2. შემსყიდველი
შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი" ს/კ: 406049823 (032) 2 500 111 http://gsn.com.ge ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE52LB0113144021146000 --------- წარმომადგენელი: გიორგი წაქაძე	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703 მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N21 --------- გენერალური დირექტორი ლია ძიძიგური